რა დაგვანახა
ჭიათურის რაიონის სოფელ შუქრუთის მაცხოვრებელთა პროტესტმა

უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ჭიათურის რაიონის სოფელ შუქრუთის მაცხოვრებელთა პროტესტმა. მათი განცხადებით, კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ (რომელიც აწარმოებს ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებით საქმიანობას) განხორციელებული ქმედებების გამო, სოფელ შუქრუთში ცხოვრება შეუძლებელი ხდება - სოფლის ქვეშიდან, მაღაროების მეშვეობით მანგანუმის გამოღებითი სამუშაოების შედეგად, იბზარება და ინგრევა სახლები, ეზოებში ჩნდება უზარმაზარი ნაპრალები. ყოველივე ამის შეკეთება ან აღდგენა კი, მათი განცხადებით, გარე ჩარევითი მეწყერული პროცესების გამო, ფაქტიურად შეუძლებელი ხდება.

ამასთან, კომპანიის მიერ არ ხდება შესაბამისი კომპენსაციების გაცემა მოსახლეობისათვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი დანგრეული სახლ-კარისა და მეურნეობის აღდგენა ან საერთოდ, მოახერხონ სხვაგან გადასახლება. კომპანიამ მხოლოდ რამდენიმე მოსახლესათვის გამოყო მიზერული თანხა და ისიც, მათი შეუპოვარი პროტესტის შემდეგ.

შუქრუთელების განცხადებით, მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა 2017 წლიდან, როდესაც კომპანია „ჯორჯიან მანგანეზში“ დაინიშნა სპეციალური სახელმწიფო მმართველი, ნიკოლოზ ჩიქოვანი, რომელსაც თითქოსდა, უნდა გამოესწორებინა ის ხარვეზები, რომელსაც კერძო კომპანია აწარმოებდა მანგანუმის მოპოვების პროცესში. მოხდა კი პირიქით - ახლა უკვე კერძო კომპანია და სახელმწიფოს არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლები, უნისონში ახდენენ მანგანუმის უკონტროლო მოპოვებას, რომელსაც მოსახლეობის კერძო საკუთრება და რაც მთავარია მათი ჯანმრთელობა და მომავალი ეწირება.

ამ ეტაპზე, მანგანუმის მოპოვებითი სამუშაოები ხორციელდება ჭიათურის რ-ნის 14 სოფელში ან მათ მიმდებარედ. სამუშაოების წარმოება ხდება ღია (კარიერული) ან დახურული (მიწისქვეშ გათხრილი მაღაროების მეშვეობით) წესით. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმების უხეში დარღვევის გამო, ორივე მეთოდით წარმოებული სამუშაოების შემდეგ, აღნიშნული სოფლების ირგვლივ კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა კომპანიის მიერ ღია წესით წარმოებული მოპოვებითი სამუშაოების კერებში, სადაც, ფაქტიურად, გაუდაბნოების პირასაა მისული ტერიტორიები, რომლებიც სულ რამდენიმე წლის წინ ტყეებითა და წყაროებით დაფარულ მდიდარ რაიონებს წარმოადგენდნენ. დახურული წესით წარმოებული სამუშაოების შედეგად, მიწის ზედაპირზე არსებული შენობა-ნაგებობები საცხოვრებლად/გამოსაყენებლად უვარგისი ხდება, ამასთან, არ ხდება კომპენსაციის გადახდა მოსახლეობისათვის. კატასტროფული ვითარებაა თავად ჭიათურაშიც, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად ითვლება. ქალაქზე დიდი ტვირთამწეობის ავტომობილებით, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის, აგრეთვე, ფოთის პორტის მიმართულებით, ხდება მანგანუმის გადაზიდვა, რაც ისედაც დაბინძურებულ ქალაქს, სავალალო მდგომარეობაში აყენებს. ეს მაშინ, როდესაც

არსებობს ჭიათურა-ზესტაფონის რკინიგზა, რომლის უმთავრეს დანიშნულებასაც სწორედ მანგანუმის სარკინიგზო მეშვეობით გადაზიდვა წარმოადგენს. თუმცა იმის გამო, რომ სარკინიგზო გადაზიდვა კომპანიას შედარებით ძვირი უჯდება, მანგანუმის საავტომობილო გზით გადაზიდვას ამჯობინებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მდ. ყვირილას ხეობა, რომელიც მანგანუმის რეცხვის გამო, ფაქტიურად შლამის კალაპოტად იქცა, სადაც ყველანაირი ცოცხალი არსება განადგურებულია. როგორც ცნობილია, მდ. ყვირილა ზესტაფონთან უერთდება მდ. რიონს, რომელიც თავის მხრივ, შავ ზღვაში ჩაედინება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მდ. ყვირილაში, ნორმების უხეში დარღვევით, განხორციელებული მანგანუმის რეცხვითი სამუშაოები, ზიანს აყენებს მთელი დასავლეთ საქართველოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

როგორც ცნობილია, სოფ. შუქრუთის მაცხოვრებლების პროტესტის პარალელურად, დიდი ვნებათაღელვაა რიონის ხეობაში, კომპანია „ენკას“ მიერ დაგეგმილ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ცნობილია, ისიც, რომ ახლახან კომპანია „ენკას“ დირექტორად დაინიშნა მერაბ ლომინაძე, პიროვნება, რომელიც ორიოდ წლის წინ „ჯორჯიან მანგანეზის“ ფინანსური დირექტორის თანამდებობას იკავებდა. სწორედ მერაბ ლომინაძეს, ნიკოლოზ ჩიქოვანსა და კომპანიის სხვა ხელმძღვანელი პირების მიმართ ჰქონდათ უნდობლობა სოფ. შუქრუთისა და დაზარალებული სხვა სოფლების მაცხოვრებლებს, რომლებიც წაყენებული მოთხოვნების სანაცვლოდ, ცრუ დაპირებებს იძლეოდნენ. იმედია, ბ-ნ მერაბ ლომინაძეს, მისი ახალი თანამდებობიდან გამომდინარე, „ენკას“ დირექტორის პოსტზე, მეტი საშუალება ექნება გაითვალისწინოს მის მიერ დაგროვილი ნეგატიური გამოცდილება და იზრუნოს, ინვესტორის ინტერესებთან ერთად, მოსახლეობის ინტერესებზე და რიონის ხეობის ეკოლოგიურ პრობლემებზე.

თუკი ზოგად ჭრილში შევხედავთ პრობლემას, დავინახავთ, რომ საქართველოში არსებული დიდი კომპანიები (რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის უმთავრესი შევსების წყაროს წარმოადგენენ) საკუთარი საქმიანობის პარალელურად, დიდ პრობლემებს აჩენენ ქვეყანაში. ამის მაგალითია, ჭიათურაში არსებული კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა, კომპანია RMG *(რომელიც ოქროს მოპოვებით სამუშაოებს აწარმოებს კაზრეთში)*, რუსთავის მეტალურგიული და აზოტის ქარხნები, კასპში არსებული „ჰაიდელბერგის“ ცემენტის ქარხანა და უამრავი სხვა. რა თქმა უნდა, ბიუჯეტის შევსება და სამუშაო ადგილები აუცილებელია, თუმცა, ეს არ უნდა ხდებოდეს ეკოლოგიური პრობლემებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე, რაც საბოლოო ჯამში ძალიან ძვირად უჯდება ქვეყანას.

სწორედ ზემოაღნიშნული უნდობლობიდანაა გამომდინარე ის პროტესტის ტალღა, რომელმაც განსაკუთრებით წარმოაჩინა თავი უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით „ნამახვანჰესსა“ და „ჯორჯიან მანგანეზთან“ მიმართებაში. მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებს დიდ კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის დადებულ კონტრაქტებს, არ სჯერა მათი დაპირებების და სურს, საკუთარი წვლილი შეიტანოს კონტრაქტების გაფორმების პროცესში, რათა მაქსიმალური გარანტიები მიიღოს მომავალში, რომ გაფორმებული კონტრაქტების შემდეგ, არ

დაზარალდება მათი და მათი შვილების ჯანმრთელობა, ზიანი არ მიადგება მათ კერძო საკუთრებას და არ მოუწევთ აყრა მამაპაპისეული ადგილებიდან.

ეს ყოველივე, შეიძლება წარმოუდგენლად მოგვეჩვენოს იმ ფონზე, როდესაც მე-20 საუკუნის დასაწყისში, მანგანუმის საბადოებით აღფრთოვანებული უცხოელი ინვესტორები ჭიათურისა და მისი მოსახლეობის წარმოუდგენელ გამდიდრებას წინასწარმეტყველებდნენ. რეალობაში კი, ერთი საუკუნის შემდეგ, საპირისპირო მივიღეთ - მანგანუმის ვანდალურად მოპოვების გამო, ჭიათურა, ეკოლოგიურად, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად გვევლინება, ხოლო მისი მოსახლეობა გაღარიბებული და დასნეულებული. იმედს გამოვთქვამთ, რომ რიონის ხეობაში განსახორციელებელი პროექტების დროს, იგივე შეცდომები არ იქნება დაშვებული, რაც ჭიათურასთან მიმართებაში განხორციელდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, როგორც სახელმწიფოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მეტი ყურადღება დაეთმოთ ამ საკითხებისადმი, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს პატარა რაიონების მაცხოვრებელთა პრობლემებს ეხება, თუმცა, ისინი გაცილებით ღრმა და შემაშფოთებელ კონტურებს ხატავენ მთელი ქვეყნისათვის.

ავტორი: დავით კაპანაძე, *უფროსი მკვლევარი, საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი*